<p style="text-align: center;">მომხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე</p> <p>C ჰეპატიტი წარმოადგენს ჯანდაცვის და სოციალურ პრობლემას როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში. 2011 წელს საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის უფასო მკურნალობის პროგრამა პეგილირებული ინტერფერონითა და რიბავირინით აივ ინფიცირებულ პაციენტებში და პათიმრებში. ასევე სამოქალაქო სექტორში შესაძლებელი გახდა C ჰეპატიტის მკურნალობა 60%-იანი ფასდაკლებით და ამ პროგრამის ფარგლებში 1674 პაციენტს ჩაუტარდა მკურნალობა.</p> <p>2015 წლის აპრილიდან აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის და ფარმაცევტული კომპანია გილეადის მხარდაჭერით საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის ნაციონალური პროგრამა. ამ პროგრამის მიზანს წარმოადგენს HCV ელიმინაცია ქვეყანაში. პირველ ეტაპზე მკურნალობა ჩაუტარდება 5000 პაციენტს, რომლებშიც გამოხატული იყო ღვიძლის ციროზი ან შორს წასული ფიბროზი, ასევე ექსტრაჰეპატური გამოვლინებები. პრიორიტეტულ ჯგუფში შედიოდნენ HIV/HCV კო-ინფიცირებული პაციენტები. 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით პროგრამაში დარეგისტრირდა 10000 C ჰეპატიტის მქონე პაციენტი. 3024 პაციენტს დაეწყო C ჰეპატიტის მკურნალობა და მათ შორის 85%-ში მიღწეულ იქნა ადრეული ვირუსული პასუხი. არსებული მონაცემები არის იმედის მომცემი, იმის გათვალისწინებით, რომ პირველ ეტაპზე მკურნალობა დაეწყო ღვიძლის მძიმე დაზიანების მქონე პაციენტებს.</p>			

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	<i>ნ. დვალი, მ. ქარჩავა, ნ. ჩხარტიშვილი, ლ. შარვაძე, ი ბურჯანაძე, მ. პარკერი, ჯ. დეჰოვიცი, ვ. ნელსონი, ვ. დელ რიო, თ. ცერცვაძე</i>	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველოში	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.
<p style="text-align: center;">მომხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე</p> <p>თეზისის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის შესწავლა საქართველოში.</p> <p>კვლევაში ჩაერთო 218 ახალ დიაგნოზირებული აივ ინფიცირებული პაციენტი. მათ შორის მამაკაცი 138 (63.3%) და საშუალო ასაკი 35 წელი. გადაცემის გზა 53%-ში იყო ჰეტეროსექსუალური</p>			

კონტაქტი, 37.6%-ში ნარკოტიკების ინექციური მოხმარება, ხოლო 6.9%-ში ჰომოსექსუალური კონტაქტი. 195 პაციენტი (89.4%) დაინფიცირებული იყო A სუბტიპის ვირუსით, 15 პაციენტი (6.9%) B სუბტიპის ვირუსით და 6 პაციენტი (2.7%) G სუბტიპის ვირუსით. მხოლოდ თითო-თითო შემთხვევა იყო F სუბტიპით და რეკომბინანტული AB\_03 ფორმით ინფიცირების. ნარკოტიკების ინექციური მოხმარებლებისა და ჰეტეროსექსუალური კონტაქტით დაინფიცირებული პაციენტების 93%-ს ჰქონდა A სუბტიპი, ხოლო ჰომოსექსუალური კონტაქტით დაინფიცირებული პაციენტების 60%-ს B სუბტიპი. გამოკვლეული სინჯებიდან 49 სექვენსი გაერთიანდა 17 „გადაცემის კლასტერად“, რომელთა უმეტესობა (71%) იყო წყვილი. ყველაზე დიდი კლასტერი აერთიანებდა 8 სექვენსს და დომინირებდა ჰომოსექსუალური გზით დაინფიცირებულ პირებში.

კვლევის შედეგად მიღებულ იქნა დასკვნა, რომ საქართველოში პრედომინანტური არის A სუბტიპი. ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისა და ჰეტეროსექსუალური კონტაქტის გზით გავრცელებულ ეპიდემიას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, ხოლო ჰომოსექსუალური კონტაქტის გზით ეპიდემია დამოუკიდებლად ვითარდება.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ნ. ბოლოკაძე, ა. აბუთიძე, ნ. ჩხარტიშვილი, ლ. შარვაძე, ფ. გაბუნია, თ. ცერცვაძე	B და C ჰეპატიტები აივ ინფიცირებულ პაციენტებს შორის საქართველოში	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე  
თეზისის მიზანს წარმოადგენდა აივ ინფიცირებულ პაციენტებს შორის B და C ჰეპატიტების გავრცელების და მკურნალობის შედეგების შესწავლა.

აივ ინფიცირებული პაციენტების დაახლოებით 7% არის კოინფიცირებული B ჰეპატიტით, ხოლო 49% C ჰეპატიტით. 2011 წლის დეკემბრიდან 2015 წლის მაისამდე C ჰეპატიტის ორმაგი თერაპია პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით ჩაუტარდა 420 აივ ინფიცირებულ პაციენტს. მამაკაცები შეადგენდნენ დაახლოებით 88%-ს და საშუალო ასაკი იყო 41 წელი (დიაპაზონი 18-58). გადაცემის ძირითადი გზა იყო ნარკოტიკების ინექციური მოხმარება. C ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის გენოტიპები განაწილდა შემდეგნაირად: 139 აივ ინფიცირებული პაციენტი (33%) იყო კოინფიცირებული 1 გენოტიპით, 109 პაციენტი (26%) 2 გენოტიპით და 172 პაციენტი (41%) 3 გენოტიპით. 183 პაციენტმა წარმატებით დაასრულა მკურნალობის კურსი, მათ შორის 122 პაციენტში მიღწეულ იქნა მყარი ვირუსული პასუხი, 15 პაციენტში დაფიქსირდა რელაფსი, ხოლო 46 პაციენტი იმყოფება მეთვალყურეობის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ აივ ინფიცირებულ პაციენტებში B და C ჰეპატიტების უფასო მკურნალობა უნივერსალურად ხელმისაწვდომია, ვირუსული ჰეპატიტებით კოინფექცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. 2015 წლის მაისიდან საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის ნაციონალური პროგრამა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ღვიძლის მძიმე დაზიანებით განპირობებულ ავადობას და სიკვდილობას.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. ქარჩავა, ლ. შარვაძე, ლ.	C ჰეპატიტის ვირუსის 2k/1b	ევრაზიის ინფექციურ

2 3	გაწერელია, ნ. ჩხარტიშვილი, ნ. დვალი, ლ. ძიგუა, ე. დოღმაზაშვილი, თ. ცერცვაძე	რეკომბინანტი საქართველოში: რეკომენდაციები ტესტირებისა და მკურნალობისთვის	დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.
--------	---	--	--

მოსხენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

თეზისი მიზნად ისახავდა C ჰეპატიტის ვირუსის 2k/1b რეკომბინანტული შტამების პრევალენტობის შესწავლას საქართველოში.

რეტროსპექტულად შესწავლილი იქნა HCV გენომის არასტრუქტურული 5B (NS5B) რეგიონი 72 პაციენტიდან მიღებულ ნიმუშებში, მათ შორის 36 პაციენტი იმყოფებოდა მკურნალობაზე კომბინაციით: პეგლირებული ინტერფერონი + რიბავირინი.

32 პაციენტი ინფიცირებული იყო 1 გენოტიპით (44.4%), 21 პაციენტი 2 გენოტიპით (29.1%) და 19 პაციენტი 3 გენოტიპით (26.3%). წინააღმდეგობრივი მონაცემები იქნა მიღებული 2 გენოტიპის შემთხვევაში, კერძოდ, 21 პაციენტიდან 16 პაციენტს (76%) ჰქონდა 1b სუბტიპის NS5B რეგიონი, მათ შორის 15 პაციენტში სექვენირებით აღმოჩნდა RF2k/1b რეკომბინანტული შტამი.

მიღებული იქნა დასკვნა, რომ ქართველ პაციენტებში, რომლებიც ინფიცირებული არიან 2 გენოტიპით, შეიძლება აღმოჩნდეს 2k/1b რეკომბინანტული შტამი. გამომდინარე აქედან, 2 გენოტიპის მქონე ქართველ პაციენტებში მიზანშეწონილია განისაზღვროს გენომის სულ ცოტა ორი უზანი, რათა შეირჩეს მკურნალობის ტაქტიკა.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ნ. ჩხარტიშვილი, ლ. შარვაძე, ო ჩოკოშვილი, ა. აბუთიძე, ნ. დვალი, ფ. გაბუნია, ჯ. დეკოვიცი, კ. დელ რიო, თ. ცერცვაძე	აივ ინფიცირებული პაციენტების მკურნალობისა და მოვლის კასკადი საქართველოში: ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის შედეგები	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

მოსხენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

თეზისი მიზნად ისახავდა აივ ინფიცირებულ პაციენტთა მკურნალობისა და მოვლის კასკადში პაციენტთა ჩართულობის შეფასებას.

კვლევაში გაანალიზდა ყველა აივ ინფიცირებული პაციენტის მონაცემები, რომლებსაც დიაგნოზი დაესვათ 1989-2014 წწ. მონაცემები მიღებული იქნა აივ ინფექცია/ შიდსის ეროვნული ელექტრონული ბაზიდან. აივ ინფიცირებულ პაციენტთა ზრუნვა შეფასდა შემდეგ ეტაპებზე: აივ ინფიცირებული პაციენტები, აივ დიაგნოზირებული პაციენტები, პაციენტები, რომლებმაც მიიღეს სამედიცინო მომსახურება, პაციენტები, რომლებიც სისტემატურად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებას, პაციენტები, რომლებიც იმყოფებიან არც თერაპიაზე და პაციენტები, რომლებშიც მიღწეულია აივ ვირუსის სუპრესია.

საქართველოში აივ ინფიცირებული პაციენტების კუმულაციური რაოდენობა არის 4695, მათ შორის 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ცოცხალია 3714 პაციენტი, რაც წარმოადგენს საქართველოში სავარაუდოდ 6600 აივ ინფიცირებული პაციენტის

56%-ს. 3714 აივ ინფიცირებული ცოცხალი პაციენტიდან სამედიცინო დაწესებულებას მიმართა 3144 პაციენტმა (85%) და მათ შორის 2732 (87%) რეგულარულად იღებს სამედიცინო მომსახურებას. 2228 აივ ინფიცირებული პაციენტი იმყოფება ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე და მათ შორის 1838 პაციენტში (82%) მიღწეულია ვირუსის სუპრესია. ზოგადად აივ ინფიცირებული პაციენტების 49%-ში და სავარაუდოდ აივ ინფიცირებული პაციენტების 28%-ში მიღწეულია აივ ვირუსის სუპრესია ანტირეტროვირუსული თერაპიის ფონზე.

მიღებულ იქნა დასკვნა, რომ საქართველოში აივ ინფიცირებულ პაციენტებზე ზრუნვა წარმატებულად მიმდინარეობს. პაციენტების რაოდენობა მცირდება თითოეულ ეტაპზე, მაგრამ ყველაზე დიდი დანაკარგი არის აივ ინფექციის დიაგნოტიკის ეტაპზე. შესაბამისად, თუ შემცირდება არადიაგნოზირებული აივ ინფიცირებული პაციენტების რაოდენობა, გაიზრდება მათი ჩართულობა მკურნალობისა და მოვლის კასკადში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ფ. გაბუნია, ნ. ბოლოკაძე, ლ. შარვაძე, ნ. ჩხარტიშვილი, თ. ცერცვაძე	აივ ინფექცია/ტუბერკულოზი საქართველოში	ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი ქ. თბილისი, საქართველო 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე  
თეზისი მიზნად ისახავდა აი ინფექცია/ტუბერკულოზის შესწავლას საქართველოში.

კვლევაში ჩართლი იქნა 544 ახალ დიაგნოზირებული აივ ინფიცირებული პაციენტი, რომლებმაც 2011-2013 წლებში მიმართეს შიდსის ცენტრს. მათ შორის 89 პაციენტს (16.4%) დაუდგინდა აქტიური ტუბერკულოზი. 89 პაციენტიდან 12-ს (13.4%) დაესვა მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის და 1-ს (1.1%) ექსტრარეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზი. CD4 უჯრედების აბსოლუტური რიცხვის საშუალო მაგნიტუდა იყო 90/მმ<sup>3</sup>, რაც მიუთითებს აივ ინფექციის გვიან დიაგნოსტიკაზე. 64 პაციენტს (71.9%) ჰქონდა ფილტვის ტუბერკულოზი, 16 პაციენტს (18%) ფილტვგარე ტუბერკულოზი და 9 პაციენტს (10.1%) კომბინირებული - ფილტვის და ფილტვგარე ტუბერკულოზი. ყველა პაციენტს დაეწყო ჯერ ტუბერკულოზის, ხოლო შემდეგ ანტირეტროვირუსული მკურნალობა ნაციონალური გაიდლაინის რეკომენდაციების შესაბამისად. 89 პაციენტიდან მოკვდა 16 პაციენტი (18%), მათ შორის 11 ტუბერკულოზის გამო, ხოლო 5 ღვიძლის უკმარისობის გამო.

მიღებულ იქნა დასკვნა, რომ მიუხედავად ტუბერკულოზისა და აივ ინფექციის მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობისა, ტუბერკულოზი მინაც რჩება აივ ინფიცირებული პაციენტების ავადობისა და სიკვდილობის ძირითად მიზეზად.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	თენგიზ ცერცვაძე	საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა	ევროპის C ჰეპატიტის მკურნალობისა და ერადიკაციის მრგვალი მაგიდა/შეხვედრა. European

			Roundtable on Hepatitis Cure & Eradication 2015. 9-10 სექტემბერი, 2015 წ. ქ. ფრანკფურტი, გერმანია.
<p>მოსხენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე</p> <p>მოსხენება ეხებოდა საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის საკითხებს. 2001-2002 წლებში საქართველოში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემებით, საქართველოში C ჰეპატიტის პრევალენტობა 6.7%-ს შეადგენს. მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან: ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, ტუბერკულოზით ავადმყოფები, ჰომოსექსუალი მამაკაცები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით ავადმყოფებია კომერციული სექს მუშაკები. 2011 წლიდან საქართველოში ხორციელდება აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციით ავადმყოფების უფასო მკურნალობა პეგილირებული ინტერფერონით და რიბავირინით, ხოლო 2014 წლიდან ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა C ჰეპატიტის მკურნალობას შეღავათიანი ფასებით ზოგად მოსახლეობაში. 2015 წლის აპრილში კი საქართველოში დაიწყო უპრეცედენტო, უნიკალური C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქვეყანაში ყველა C ჰეპატიტით ავადმყოფის უფასო მკურნალობას მაღალეფექტური პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტებით და ასევე ფართომასშტაბიანი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლის შედეგადაც საქართველო უნდა გახდეს C ჰეპატიტის ელიმინაციის პირველი სამოდელო ქვეყანა მსოფლიოში.</p>			

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	თენგიზ ცერცვაძე	აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექცია საქართველოში.	აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პირველი შეხვედრა აივ/შიდსის და C ჰეპატიტის კოინფექციის საკითხებზე. 22-23 ივნისი, ქ. ვარშავა, პოლონეთი. 1st Central Eastern European Meeting on Viral Hepatitis and Co-Infection with HIV.

<p>მოსხენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე</p> <p>2004 წლიდან საქართველომ პირველმა და ჯერ-ჯერობით ერთადერთმა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში უზრუნველყო და შეინარჩუნა არც მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევა დადებითად აისახა საქართველოში აივ/შიდსის ეპიდემიის დინამიკაზე: მკვეთრად გაიზარდა აივ/შიდსით ავადმყოფების გადარჩენის მაჩვენებელი, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრების ხარისხი. არც მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემდეგ 3-ჯერ და მეტჯერ შემცირდა შიდსთან დაკავშირებული სიკვდილობა. 2013 წელს საქართველო პირველმა აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყო WHO-ს უახლესი სამკურნალო რეკომენდაციების დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს არც მკურნალობის დაწყებას დაავადების ადრეულ სტადიაზე (CD4 ლიმფოციტების რიცხვი &lt;500). ეს ინოვაცია ძალიან მნიშვნელოვანია როგორც აივ/შიდსით ავადმყოფების სიცოცხლის გახანგრძლივების, ისე ახალი ინფექციების პრევენციის კუთხითაც. ქვეყანაში აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდების ეფექტური მოდელი უზრუნველყოფს აღნიშნული მიღწევების მდგრადობას. მოდელი მოიცავს კლინიკური მონიტორინგის სპეციალურ</p>			
--	--	--	--

ალგორითმს, რომლიც ითვალისწინებს თითოეული პაციენტის რეგულარულ (წელიწადში სამჯერ) გამოკვლევას ძირითად კლინიკურ და ლაბორატორიულ პარამეტრებზე. გარდა ამისა წარმატებით ფუნქციონირებს პაციენტთა მხარდაჭერის სერვისები.

გლობალური ფონდისა და სახელმწიფო პროგრამების ერთობლივი ძალისხმევით სადღეისოდ უკლებლივ ყველა გამოვლენილი აივ/შიდსით ავადმყოფი საქართველოში უფასოდ იღებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტებით.

კვლევების თანახმად კლინიკურ სერვისებში ჩართულობის კუთხით საქართველოში მიღწეულია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებლები. ასე მაგალითად, საქართველოში რეგისტრირებულ აივ/შიდსით დაავადებულთა 84% ჩართულია კლინიკურ სერვისებში, ხოლო მათგან 88% იმყოფება მუდმივ [უწყვეტ] კლინიკურ მეთვლყურეობაზე. ანალოგიური მაჩვენებელი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნების უმეტესობაში ნაკლებია, ხოლო შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნებში კი - არ აღემატება 50%-ს. “გლობალური ფონდის“ ხელშეწყობით პირველად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში 2011 წლიდან საქართველოში ყველა აივ/შიდსის და C ჰეპატიტით კოინფექციის მქონე ავადმყოფებისათვის ხელმისაწვდომია C ჰეპატიტის უფასო ანტივირუსული მკურნალობა. ეს არის ქვეყანაში პირველი შემთხვევა, როდესაც მოსახლეობის კონკრეტული სეგმენტი იღებს C ჰეპატიტის უფასო მკურნალობას საერთაშორისო სტანდარტებით.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ლალი შარვაძე	C კლინიკური მენეჯმენტი საქართველოში.	ევროპის ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ასოციაციის სპეციალური შეხვედრა საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის თაობაზე. 23 აპრილი, 2015 წ. ქ. ვენა, ავსტრია. EASL Special Meeting on HCV Elimination in Georgia Vienna, Austria, 23 April 2015

მოხსენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მოხსენება ეხებოდა საქართველოში C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგიური სიტუაციას, C ჰეპატიტის კლინიკური მენეჯმენტის საკითხებს და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამას. კერძოდ, განხილულ იქნა ელიმინაციის პროგრამაში პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები, ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მეთოდები და მკურნალობის რეჟიმები. აღნიშნული პროგრამის წარმატებული განხორციელება უდიდეს სარგებელს მოუტანს C ჰეპატიტით ავადმყოფებს და მთლიანად ქვეყანას. პროგრამა გულისხმობს ქვეყანაში ყველა C ჰეპატიტით ავადმყოფის უფასო მკურნალობას მაღალეფექტური პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტებით და ასევე ფართომასშტაბიანი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლის შედეგადაც საქართველო უნდა გახდეს C ჰეპატიტის ელიმინაციის პირველი სამოდელო ქვეყანა მსოფლიოში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	--------------------	------------------------------------



1 2 3	ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, ლალა შარვაძე, ფატი გაბუნია, აკაკი აბუთიძე, ნათია დვალი, მზია ნიკოლაიშვილი, თენგიზ ცერცვაძე.	აივ/შიდსის გვიანი გამოვლენა და მისი საზოგადოებრივ ჯანდაცვითი და ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოში.	ევროპის შიდსის მე-15 კონფერენცია. 21-24 ოქტომბერი, 2015 წ. ქ. ბარსელონა, ესპანეთი. 15th European AIDS Conference October 21 - 24, 2015 Barcelona, Spain
-------------	--	---	---

მოსხენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

კვლევის მიზანი: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთია, სადაც აღინიშნება აივ/შიდსის გვიანი გამოვლენის მაღალი მაჩვენებელი.

ჩატარდა რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა, რომელშიც ჩართული იქნა 2009-2011 წლებში საქართველოში რეგისტრირებული ყველა აივ/შიდსით ავადმყოფი. კლინიკური მონაცემები ამოღებულ იქნა აივ/შიდსის ეროვნული მონაცემთა ბაზიდან. გაანალიზდა როგორც სტაციონარულ ისე ამბულატორიულ სერვისებზე დანახარჯები.

კვლევაში ჩაერთო სულ 1002 აივ/შიდსით ავადმყოფი. დაკვირვების პერიოდმა შეადგინა 1.2. წელი (შიდაკვარტილური რანგი: 0,5-1,9 წელი). 702 (70,1%) ავადმყოფში დაფიქსირდა აივ/შიდსის გვიანი გამოვლენა. ასევე 512 (51,1%) ავადმყოფს დიაგნოზის დასმის მომენტში უკვე აღინიშნებოდა შორსწასული აივ ინფექცია. კვლევის პერიოდში შიდსის სახელმწიფო პროგრამის დანახარჯებმა შეადგინა 1,259,460 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხის 79,1% დაიხარჯა გვიან გამოვლენილი აივ/შიდსით ავადმყოფების მკურნალობისა და მოვლის სერვისებზე.

დასკვნა: აივ/შიდსის გვიანი გამოვლენა, რომელიც დაკავშირებულია მაღალ სიკვდილობასთან და სერიოზულ ეკონომიკურ ზარალთან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის. აუცილებელია ღონისძიებების გაძლიერება აივ/შიდსის ადრეული გამოვლენის უზრუნველყოფისთვის.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ლალა შარვაძე	C კლინიკური მენეჯმენტი საქართველოში. C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა.	„HIV Nordic Conference“. 30 სექტემბერი-2 ოქტომბერი, 2015 წ. ქ. სტოკჰოლმი, შვედეთი.

მოსხენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

მოსხენება ეხებოდა საქართველოში C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგიური სიტუაციას, C ჰეპატიტის კლინიკური მენეჯმენტის საკითხებს და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამას. კერძოდ, განხილულ იქნა ელიმინაციის პროგრამაში პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები, ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მეთოდები და მკურნალობის რეჟიმები. აღნიშნული პროგრამის წარმატებული განხორციელება უდიდეს სარგებელს მოუტანს C ჰეპატიტით ავადმყოფებს და მთლიანად ქვეყანას. პროგრამა გულისხმობს ქვეყანაში ყველა C ჰეპატიტით ავადმყოფის უფასო მკურნალობას პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტებით და ასევე ფართომასშტაბიანი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლის შედეგადაც საქართველო უნდა გახდეს C ჰეპატიტის ელიმინაციის პირველი სამოდელო ქვეყანა მსოფლიოში.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	--------------------	------------------------------------

1 2 3	მარიკა ქარჩავა, ჯესპერ ვალდესტრომი, მონიკა პაკერი, ერნე ჰალოკი, ლალი შარვაძე, ლანა გაწერელია, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, ნათა დვალი, ჰელენ ნორდერი, თენგიზ ცერცვაძე.	HCV 2k/1b რეკომბინანტული ფორმები საქართველოში.	რეტროვირუსების და ოპორტუნისტული ინფექციების კონფერენცია. 22-25 თებერვალი, ქ. ბოსტონი, აშშ.
-------------	--	--	--

მოსხენებათა ანოტაციები ქართულ ენაზე

C ჰეპატიტის ვირუსის პირველი რეკომბინანტი RF2k/1b პირველად აღწერეს რუსეთში, რის შემდეგაც ის ასევე გამოვლინდა ირლანდიაში, ესტონეთში, უზბეკეთში და კვიპროსში. უმრავლესობა ამ პაციენტებისა წარმოშობით საქართველოდან იყო. თუმცა არ არსებობს ინფორმაცია ამ რეკომბინანტის პრევალენტობასა ან ანტივირუსული პრეპარატების მიმართ მის მგრძობელობაზე. ამ საკითხის დასადგენად ჩვენ მოვახდინეთ H C V გენომის არასტრუქტურული 5B (NS5B) რეგიონის რეტროსპექტული სეკვენსირება 72 ქართველ პაციენტში, რომელთაგან 36 იმყოფებოდა პეგილირებული ინტერფერონისა და რიბავირინის რეჟიმზე. შედეგებმა აჩვენა, რომ 32 პაციენტი (44.5%) ინფიცირებული იყო გენოტიპით 1, 21 პაციენტი (29.2%) - გენოტიპით 2 და 19 (26.3%) – გენოტიპით 3. შტამების NS5B სეკვენსირების ანალიზის შედეგად გენოტიპებისთვის 1 და 3 მიღებულ იქნა კონკორდანტული შედეგები, ხოლო გენოტიპი 2-ის შემთხვევაში – დისკორდანტული შედეგები, რადგან 16 პაციენტს (76%) აღმოაჩნდა 1ბ სუბტიპის NS5B რეგიონი. ფილოგენეტიკური ანალიზის მიხედვით, ამ შტამების 15 NS5B სეკვენსი ფორმირებული იყო რეკომბინანტი RF2k/1b შტამებით. დანარჩენი დისკორდანტული სეკვენსი ფორმირებული იყო 1ბ შტამით. კვლევის შედეგები მოწმობს, რომ RF2k/1b რეკომბინანტული შტამი ხშირია ქართველ პაციენტებში, რომლებიც მანამდე მოიაზრებოდნენ გენოტიპი 2-ით ინფიცირებულებად. რადგან გენოტიპის განსაზღვრა ძირითადად მკურნალობის სტრატეგიის დასადგენად სრულდება, საჭიროა შტამის სულ მცირე ორი გენომური რეგიონის ანალიზის ჩატარება გენოტიპი 2-ით ინფიცირებულ ქართველ პაციენტებში HCV გენოტიპირების სტანდარტული მეთოდებით.

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„კომოსექსუალ მამაკაცებში აივ/შიდსის ეპიდემიის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლა საქართველოში“.	ნიკოლოზ ჩხარტიშვილი	ნიკოლოზ ჩხარტიშვილი ლალი შარვაძე ნინო ბადრიძე, თენგიზ ცერცვაძე.	საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკური ცენტრი/ აშშ ინფექციურ დაავადებათა და ალერგიის ნაციონალური ინსტიტუტი.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
პროექტი დაფინანსებულია. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის გაფორმება და მისი განხორციელება დაიწყება 2016 წლის თებერვლისთვის.				

## IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„მწვავე ვირუსული C ჰეპატიტის ადრეული (სეროკონვერსიამდე) ძირითადი (საკვანძო) მაჩვენებლების დადგენა დაავადების გამოსავლის შეფასების მიზნით“.	ლალი შარვაძე,	ლალი შარვაძე, ნინო ბადრიძე, თენგიზ ცერცვაძე, ლანა გაწერელია	საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკური ცენტრი/ აშშ ინფექციურ დაავადებათა და ალერგიის ნაციონალური ინსტიტუტი.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
პროექტი დაფინანსებულია. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის გაფორმება და მისი განხორციელება დაიწყება 2016 წლის თებერვლისთვის.				

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„ტუბერკულოზის ინციდენტობის და რისკ ფაქტორების შესწავლა ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფ აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში“.	აკაკი აბუთიძე	აკაკი აბუთიძე, ნატალია ბოლოკაძე, თენგიზ ცერცვაძე, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, ნინო რუხაძე, მარიამ სვანიძე	საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკური ცენტრი/ აშშ ინფექციურ დაავადებათა და ალერგიის ნაციონალური ინსტიტუტი.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები  
(ქართულ ენაზე)

პროექტი დაფინანსებულია. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის გაფორმება და მისი  
განხორციელება დაიწყება 2016 წლის თებერვლისთვის.

#### IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	„საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში აივ-ზე ტესტირების მიზანშეწონილობის და ხარჯთეფექტურობის შედარებითი ანალიზი“.	ნინო ბადრიძე	ნინო ბადრიძე, თენგიზ ცერცვაძე, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი და სხვ.	საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკური ცენტრი/ აშშ ინფექციურ დაავადებათა და ალერგიის ნაციონალური ინსტიტუტი.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				
პროექტი დაფინანსებულია. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის გაფორმება და მისი განხორციელება დაიწყება 2016 წლის თებერვლისთვის.				

ღონისძიებები განხორციელებული ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს-პ ცენტრის მიერ

**THE 7<sup>th</sup> EURASIA CONGRESS OF INFECTIOUS DISEASES**  
 "Clinical Microbiology, Infectious Diseases, Immunology and Epidemiology"  
**September 30 – October 3 2015, Courtyard Marriott Hotel Tbilisi, Georgia**



ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი  
 ქ. თბილისი, საქართველო  
 30 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2015 წ.

ა.წ. 30 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით, ქ. თბილისში, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში, ჩატარდა ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა მე-7 საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესის ორგანიზატორები იყვნენ: შავი ზღვის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური მიკრობიოლოგიის საზოგადოება, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

კონგრესის პრეზიდენტები იყვნენ: პროფესორი **თენგიზ ცერცვაძე** საქართველოდან და პროფესორი **Hakan Leblebicioğlu** თურქეთიდან.

აღნიშნული კონგრესი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ავტორიტეტული ღონისძიებაა ინფექციურ დაავადებათა დარგში.

ევრაზიის ინფექციურ დაავადებათა კონგრესს უკვე აქვს ექვსი წლის წარმატებული ისტორია. რიგით მე-7 კონგრესს წელს ქ. თბილისმა უმასპინძლა, რაც ქართველ ინფექციონისტთა და ინფექციურ დაავადებათა ქართული სკოლის კიდევ ერთი აღიარებაა.

საქართველოში ამ ღონის ღონისძიება ინფექციურ დაავადებათა დარგში პირველად ჩატარდა.

კონგრესში მონაწილეობა მიიღო ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური მიკრობიოლოგიის დარგის არაერთმა საერთაშორისოდ აღიარებულმა მეცნიერმა და სპეციალისტმა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოდან კონგრესზე წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი სამეცნიერო მოხსენება.

სამი დღის განმავლობაში კონგრესზე დამსწრეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ State of the art ლექციები ინფექციურ დაავადებათა ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის ახლად და ხელახლად აღმოცენებულ ინფექციურ დაავადებებზე, აივ ინფექცია/შიდსზე, ვირუსულ ჰეპატიტებზე, რეზისტენტულ ტუბერკულოზზე, ვირუსულ ჰემორაგიულ ცხელებებზე, ახალი ორთოპოქსვირუსით გამოწვეულ ინფექციაზე და სხვ. განხილული იყო აგრეთვე ანტიმიკრობული რეზისტენტობის საკითხები, რაც დღეს ძალიან აქტუალურია. წარმოდგენილი იყო საინტერესო და რთულად სადიაგნოსტიკო შემთხვევები (ქეისები) ინფექციურ დაავადებათა პროფილის სპეციალისტთა პირადი პრაქტიკიდან.

ქართველმა სპეციალისტებმა უცხოელ კოლეგებს გააცნეს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ძირითადი პრინციპები და მიმდინარეობა, რომელმაც კონგრესის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. აღინიშნა, რომ ამ პროგრამას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.

კონგრესი უაღრესად საინტერესოდ და წარმატებულად წარიმართა. ამ ფორუმმა საშუალება მისცა ქართველ სპეციალისტებს დაემყარებინათ სამეცნიერო კონტაქტები და თანამშრომლობა უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების და სამედიცინო ცენტრების სპეციალისტებთან.

### **ტრენინგები საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის საკითხებზე**

2015 წლის აპრილში საქართველოში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს რისკის ჯგუფების პირთა HCV ინფექციაზე გამოკვლევით მაქსიმალურ მოცვას და ყველა გამოვლენილი აქტიური HCV ინფექციით ავადმყოფის მკურნალობას.

საქართველოს ინფექციონისტთა, ჰეპატოლოგთა, ეპიდემიოლოგთა, მიკრობიოლოგთა და პარაზიტოლოგთა ასოციაციის და ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის მიერ 2015 წლის თებერვალში ქ. თბილისში, 2015 წლის მარტში ქ. ქუთაისში და 2015 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქ. თბილისში დარგის სპეციალისტებისთვის ჩატარდა სემინარები/ტრენინგები, სადაც განხილულ იქნა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

#### სემინარის თემატიკა:

- ზოგადი ინფორმაცია C ჰეპატიტის შესახებ. სიტუაცია მსოფლიოში და საქართველოში. C ჰეპატიტის ნაციონალური პროგრამები (**მომხსენებელი: თენგიზ ცერცვაძე**).
- ახალი პირდაპირი ანტივირუსული მოქმედების მედიკამენტები (**მომხსენებელი: თენგიზ ცერცვაძე**).
- EASL და AASLD გაიდლაინების მიმოხილვა (**მომხსენებელი ლალი შარვაძე**).
- C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. მიზნები, ამოცანები, პროგრამაში ავადმყოფთა ჩართვის კრიტერიუმები, პაციენტების შერჩევა. (**მომხსენებელი: თენგიზ ცერცვაძე**).
- ეგვიპტის გამოცდილება (**მომხსენებელი ლალი შარვაძე**).
- C ჰეპატიტის მართვის ახალი ნაციონალური პროტოკოლი. მკურნალობის რეჟიმები. მკურნალობის მონიტორინგი. პაციენტთა სპეციალური ჯგუფები (**მომხსენებელი ვახტანგ ქერაშვილი**).

**მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტი:**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - პროფ. არჩილ ხომასურიძე.

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

არჩილ ხომასურიძე - სრული პროფესორი;

ჯენარა ქრისტესაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

არსენ გვენეტაძე - ასოცირებული პროფესორი;

ალეკო ლაბარტყავა - ასოცირებული პროფესორი.

**III.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაკვეთილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

**III.2.**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

**III. 4.**

2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის
---	---------------------	----------------	----------	----------

ღება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითებთ	ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)			

## II. 1. პუბლიკაციები:

## ა) საქართველოში

## მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქეთევან ბელთაძე  არჩილ ხომასურიძე	რეპროდუქციული ფუნქცია მოზარდებში დიაგნოსტირებული პოლიციტური საკვერცხის სინდრომის შემდეგ.	დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი.	114 გვერდი
2	ლიუდმილა ბარბაქაძე, არჩილ ხომასურიძე, ჯენარა ქრისტესაშვილი.	საკვერცხის ფუნქციის შეფასების თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობა ქალის რეპროდუქციული პოტენციალის განსაზღვრასა და ხელოვნური განაყოფიერების შედეგების პროგნოზირებაში	დისერტაცია 5.02.2015 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი.	138 გვერდი

## ანოტაციები

1. მოზარდებში პოლიციტური საკვერცხის სინდრომის დროს მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს მედიკამენტურ მკურნალობას ოვარიული რეზერვის დაზოგვის მიზნით;

✓ გვიანი რეპროდუქციული ასაკის ქალებში პუბერტატის პერიოდში ჩატარებული პოლიციტური საკვერცხის სინდრომის მკურნალობის შემდეგ, ისევე როგორც იმავე ასაკის ინ ვიტრო განაყოფიერების პროგრამებში არაოვულაციური დარღვევების მქონე პაციენტების რეპროდუქციული პოტენციალის შეფასების მიზნით რეკომენდირებულია უპირატესობა მიენიჭოს ამჰ-ის განსაზღვრას აფრ-თან კომბინაციაში;



✓ მოზარდობის პერიოდში პოლიცისტური საკვერცხის სინდრომის დროს მიზანშეწონილია მკურნალობის დროული დაწყება, რაც ხელს უწყობს რეპროდუქციულ ასაკში სპონტანური ორსულობების სიხშირის ზრდას, თვითნებითი აბორტების სიხშირის შემცირებას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცოცხლადშობადობის მაჩვენებლებს.

2. უნაყოფობის მკურნალობის ტაქტიკის შერჩევასა, ოვარიული რეზერვის ზუსტ შეფასებაში ქალის ასაკთან ერთად მიზანშეწონილია ამჰ-ის და აფრ-ის მაჩვენებლების გათვალისწინება. ფმჰ-ის მაჩვენებლებთან შედარებით ამჰ-ის და აფრ-ის შეფასება გაცილებით ინფორმაციულია, განსაკუთრებით გვიან რეპროდუქციული ასაკის ქალებში, ვინაიდან ეს მაჩვენებლები ფმჰ-ის მომატებამდე უფრო ადრე ასახავენ ოვარიული რეზერვის დაქვეითებას.

✓ ინ ვიტრო განაყოფიერების პროგრამებში მწირი პასუხის პრედიქციისთვის რეკომენდებულია აფრ-ის მაჩვენებლების შეფასება. ინ ვიტრო განაყოფიერების გამოსავლის პროგნოზის თვალსაზრისით ამჰ-ის და აფრ-ის მაჩვენებლებთან ერთად, მიზანშეწონილია ქალის ასაკის გათვალისწინება, ვინაიდან თუნდაც ოვარიული რეზერვის ტესტების ნორმალური მაჩვენებლების პირობებში ასაკის მატებასთან ერთად უარესდება კვერცხუჯრედების ხარისხი, რაც შესაბამისად აისახება ინ ვიტრო განაყოფიერების გამოსავალზე.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თ.ჯაფარიძე	Georgian Medical	№11(248)	თბილისი	16-20
2	ჯ.ქრისტესაშვილი	News	ნოემბერი 2015		
3	პ.იმნაძე				
ანოტაციები ქართულ ენაზე					

II. 2. პუბლიკაციები:  
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქეთევან ბელთაძე, ლიუდმილა ბარბაქაძე, ლალი ფხალაძე, არჩილ ხომასურიძე.	Assessment of Ovarian Reserve in the Women of Late Reproductive Age after Conservative Treatment of Polycystic Ovarian Syndrome (PCOS) in Adolescence	მეანობა- გინეკოლოგია- რეპროდუქტოლოგია  №4	ქ. მოსკოვი «ИРБИС»	გვ. 24-26
2	არჩილ	Assessment of Ovarian	Proceeding Book	18-21 March, 2015, Berlin, Germany.	გვ. 465-468

	<p>ხომასურიძე, ლიუდმილა ბარბაქაძე, , ჯენარა ქრისტესაშვილი ,ლალი ფხალაძე,</p>	<p>Reserve Tests for Prediction of In Vitro Fertilization Outcome</p>	<p>of the XVI World Congress of Human Reproduction. 2015</p>		
3	<p>ლიუდმილა ბარბაქაძე, არჩილ ხომასურიძე, ჯენარა ქრისტესაშვილი , ქეთევან ოსიძე.</p>	<p>ASSESSMENT OF OVARIAN RESERVE TESTS FOR PREDICTION OF OCYTE YIELD AND CHANCE OF PREGNANCY AFTER OVULATION INDUCTION</p>	<p>Abstract Book of the 7<sup>th</sup> World Congress on Ovulation Induction. 2015.</p>	<p>Italy, Bologna  EMC Continued Medical Education</p>	<p>გვ. 44</p>
4.	<p>ქეთევან ბელთაძე, ლიუდმილა ბარბაქაძე, ლალი ფხალაძე, არჩილ ხომასურიძე.</p>	<p>Assessment of Ovarian Reserve in the Women of Late Reproductive Age after Treatment of Polycystic Ovarian Syndrome (PCOS) in Adolescence</p>	<p>Proceeding Book of the XVI World Congress of Human Reproduction. 2015</p>	<p>18-21 March, 2015, Berlin, Germany.</p>	<p>გვ. 468-472</p>
5.	<p>არჩილ ხომასურიძე, ლალი ფხალაძე, ჯენარა ქრისტესაშვილი</p>	<p>Clinical and Hormonal indicators of PCOS developed during non classical adrenal hyperplasia</p>	<p>Proceeding Book of the congress of European Society of Gynecology, European Gynecology, 2015</p>	<p>CIC Edizioni Internazionali Prague, Czech Republic, 21-24 Oct. 2015,</p>	<p>გვ.187-189</p>

ანოტაციები ქართულ ენაზე

1.პაციენტებს საკვერცხეების პოლიცისტოზის დიაგნოზით, რომლებსაც ჩაუტარდათ კონსერვატიული მკურნალობა აქვთ უკეთესი ოვარიული რეზერვი, იმ პაციენტებთან შედარებით რომლებსაც ჩაუტარდათ ქირურგიული მკურნალობა.

მოზარდებში პოლიცისტური საკვერცხის სინდრომის დროს მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს მედიკამენტურ მკურნალობას ოვარიული რეზერვის დაზოგვის მიზნით.

2.ინ ვიტრო განაყოფიერების პროგრამაში აფრ-ის ზღვრული მაჩვენებელი მწირი მოპასუხეებისთვის შეადგენს 5-ს, ამჰ-ს ზღვრული მაჩვენებელი მწირი მოპასუხეებისთვის შეადგენს 0.9 ng/ml;

ინ ვიტრო განაყოფიერების პროგრამებში ოვარიული რეზერვის ტესტებიდან მხოლოდ ასაკს აქვს სანდო ღირებულება კლინიკური ორსულობის პრედიქციის თვალსაზრისით;

3.ოვულაციის ინდუქციაზე საკვერცხის მწირი პასუხის წინასწარ განსაზღვრისთვის თვალსაზრისით მხოლოდ აფრ არის საკვერცხის მწირი პასუხის პრედიქტორი, სანდო პრედიქტორული ღირებულება აღენიშნება ამჰ-საც;

ოვარიული რეზერვის შეფასებასა და ინ ვიტრო განაყოფიერების პროგრამებში გამოსავლების ეფექტურობის პრედიქციაში ყველაზე სანდო მაჩვენებლად ქალის ასაკთან ერთად უნდა ჩაითვალოს ამჰ და ანტრალური ფოლიკულების რაოდენობა.

4.მოზარდობის პერიოდში პოლიცისტური საკვერცხის სინდრომის დროს მიზანშეწონილია მკურნალობის დროული დაწყება, რაც ხელს უწყობს რეპროდუქციულ ასაკში სპონტანური ორსულობების სიხშირის ზრდას, თვითნებითი აბორტების სიხშირის შემცირებას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცოცხლადშობადობის მაჩვენებლებს.

5. თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერპლაზიის არაკლასიკური ფორმის დროს საკვერცხეების პოლიცისტოზის სინდრომი შესაძლოა განიხილოს დაავადების ერთ-ერთ ფორმად. ამ პროცესის ძირითად მიზეზს წარმოადგენს თირკმელზედა ჯირკვლისმიერი ჰიპერანდროგენია. ირღვევა გონადოტროპინების ნორმალურ სეკრეცია, მატულობს მალუთეინიზირებული ჰორმონის გამოყოფა, რაც იწვევს ანდროგენების ჰიპერსეკრეციას საკვერცხეებში. ამდენად, როგორც საკვერცხისმიერი, ასევე თირკმელზედაჯირკვლისმიერი ჰიპერანდროგენიის დროს ირღვევა ფოლიკულების განვითარება და ხდება ნაადრევი ატრეზია, რასაც თან ახლავს ტიპიური პოლიცისტოზის ჩამოყალიბება.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებული დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	L.BARBAKADZE A.KHOMASURIDZE J.KRISTESASHVILI L.PKHALADZE	Assessment of Ovarian Reserve Tests for Prediction of In Vitro Fertilization Outcome  GIORNALE ITALIANO DI OSTERICA E		იტალია	465-468

		GINECOLOGIA			
<p>6. ანტიმიულერული ჰორმონის და ანტრალური ფოლიკულების რიცხვის ერთდროული განსაზღვრა აუმჯობესებს ოვარიული რეზერვის შეფასებას და ოვულაციის ინდექსებზე საკვერცხეების პასუხის პრედიქციას. ქალის ასაკის გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია ინ-ვინტო განაყოფიერების შედეგების პრედიქციაში.</p>					
1	J.KRISTESASHVILI	GG		იტალია	521-524
2	N.CHIKVAIDZE	Types of reproductive disorders in underweight and overweight young females and correlations of respective hormonal changes with BMI.			
3	M.GEGECHKORI				
			GIORNALE ITALIANO DI OSTERICA E GINECOLOGIA		
<p>7. მენსტრუალური ფუნქციის და ჰორმონული ცვლილებების თავისებურებები ახალგაზრდა ქალებში, რომელთაც სხეულის მასის დეფიციტი ან სიმსუქნე აღენიშნებოდათ ბავშვობის პერიოდიდან უკავშირდება მათში გამოვლენილ რეპროდუქციული დარღვევების ტიპს და ბავშვობაში არსებულ სხეულის მასის ინდექსს.</p>					
1	J.KRISTESASHVILI	Termination of unplanned pregnancy and prior usage of contraception in Republic of Georgia		იტალია	524-527
2	T.JAFARIDZE				
3			GIORNALE ITALIANO DI OSTERICA E GINECOLOGIA		
<p>8. დაუგეგმავი ორსულობების და მათი აბორტით დასრულების პრობლემა მიუთითებს კონტრაცეფციაში, განსაკუთრებით თანამედროვე მელოდების შესახებ პოპულაციის ცოდნის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, ამასთან ხელმისაწვდომობის და გამოყენების სისწორის გაზრდაზე. ასეთი მიდგომით შესაძლებელი იქნება დაუგეგმავი ორსულობების და მასთან დაკავშირებული ხელოვნური აბორტების შემცირება.</p>					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ჯ.ქრისტესაშვილი	ენდომეტრიოზი -  მოზარდობაში  გამოტოვებული დაავადება	თბილისი , 9-10 დეკემბერი 2015წ. ენდომეტრიოზის აკადემიის სემინარები
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ენდომეტრიოზის დიაგნოსტიკა მიზანშეწონილია მოხდეს მის საწყის სტადიაზე, ღრმა , შეუქცევადი დაზიანების პრევენციის მიზნით, რაც გულისხმობს მოზარდობის პერიოდს.</li> <li>➤ ენდომეტრიოზი უნდა განვიხილოთ როგორც ქრონიკული დაავადება, რომელიც</li> </ul>			

<p>მოითხოვს მუდმივი მკურნალობის გეგმის შემუშავებას, რათა მედიკამენტური საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით თავი ავარიდოთ ქირურგიულ პროცედურებს ( განსაკუთრებით განმეორებით) რაც მეტად მნიშვნელოვანია მოზარდებში.</p>			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჯ.ქრისტესაშვილი	საშვილოსნოს მიომის მართვის თანამედროვე პრინციპები	ჩაქვი, 3-11 ივლისი VIII პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია
<p>საშვილოსნოს მიომის მართვის გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქალის ასაკი, კლინიკური გამოვლინებები და რეპროდუქციული გეგმები. მკურნალობის დამზოგავი მეთოდების გამოყენება, კერძოდ მედიკამენტური თერაპია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ქალებში, რომელთაც აქვთ შვილის ყოლის სურვილი</p>			
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჯ.ქრისტესაშვილი	ფასილიტატორი	თბილისი, 27-30 ოქტომბერი 2015 EUTEACH- ტრენინგი ტრენერებისათვის- ახალგაზრდების და მოზარდების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, კომუნიკაციის უნარები, ცხოვრების ჯანსაღი წესი.
№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	არსენ გვენეტაძე მ.მ.დ. ; თსუ-სს ასოც. პროფ., ქეთევან კაკაშვილი;	1. ინვიტრო განაყოფიერება და საკვერცხეების „mild” - სტიმულაცია	VII პოლიპროფილური სამეცნიერო კონფერენცია „ კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები „ 14 თებერვალი 2015წ. <b>ბაკურიანი</b>
2	არსენ გვენეტაძე მ.მ.დ.; ასოც. პროფესორი; მ.მ.დ. თამთა ცაავა ;	2. ენდომეტრიუმის პრობლემები და იმპლანტაცია	
3	არსენ გვენეტაძე მ.მ.დ.; ასოც. პროფესორი; ლელა ირემაძე ;	3. ფერტილობის აღდგენა მსუბუქი და საშუალო ენდომეტრიოზის ლაპაროსკოპიული მკურნალობის შემდეგ ( კლინიკის გამოცდება)	

<p>4</p> <p>5.</p> <p>6</p> <p>7</p>	<p>არსენ გვენეტაძე მ.მ.დ. ; თსუ-სს ასოც. პროფ., თამარ მოწენიძე</p> <p>არსენ გვენეტაძე მ.მ.დ.; ასოც. პროფესორი; თამარ მოწენიძე</p> <p>არსენ გვენეტაძე მ.მ.დ.; ასოც. პროფესორი; ქეთევან კაკაშვილი</p> <p>არსენ გვენეტაძე მ.მ.დ.; ასოც. პროფესორი; მ.მ.დ. თამთა ცაავა ;</p>	<p>4. საშვილოსნოს რუდიმენტული რქის ლაპაროსკოპიული მკურნალობა . (კლინიკური შემთხვევის აღწერა)</p> <p>5. ჰისტეროსკოპიული მეტროპლასტიკა და რეპროდუქციული ფუნქცია (კლინიკის გამოცდილება)</p> <p>6. შვილოსნობის შენარჩუნების თანამედროვე ხედვა (კვერცხუჯრედის გაყინვის სამედიცინო და ეთიკური საკითხები</p> <p>7. გვიანი ასაკის რეპროდუქცია</p>	<p>VIII პოლიპროფილური სამეცნიერო კონფერენცია „კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები „ 06 ივლისი 20014წ. <b>4. 06 . 2015 წ. ჩაქვი</b></p>
--------------------------------------	--	---	---

**1. ინვიტრო განაყოფიერება და საკვერცხეების „mild” - სტიმულაცია**

მოხსენება შეეხება ინვიტრო განაყოფიერების დროს საკვერცხეების სტიმულაციის სქემებს. სტიმულაციის პროტოკოლებს შორის განხილულია საკვერცხეების „mild” - სტიმულაცია, რბილი პროტოკოლის უპირატესობები და ნაკლოვანებები. რბილი პროტოკოლის უპირატესობებია: ხანმოკლე სტიმულაცია, ვიზიტის ნაკლები სიხშირე, მედიკამენტების დაბალი დოზა, დაბალი ფასი. გართულებების ნაკლები შანსი.

**2. ენდომეტრიუმის პრობლემები და იმპლანტაცია**

